ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა
და განათლების დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო

09/01/2026

MES 3 26 0000008516

გადაწყვეტილება

ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ქ. კასპის N4 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი) დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას (ს/კ 232559781) (ქ. კასპის N4 საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 88-ით.
2. ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას (ქ. კასპის N4 საბავშვო ბაგა-ბაღი) მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს ამ გადაწყვეტილების დანართით გათვალისწინებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა.
3. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 09 იანვრის № 8385 სხდომის ოქმის №07 ნაწილი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 12 იანვრიდან.

5. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა მეორე შესახვევი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

დანართი:

პროგრამის სახე	**პროგრამის განხორციელების ენა**	**პროგრამის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი**
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, ქალაქი კასპი, თავისუფლების ქუჩა N1

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე